ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №14

06 ოქტომბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი, სოფიო ჯაფარიძე და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:

1. ლევან მიქავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. მაკა ნასრაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ლევან მიქავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, იზრდება საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნები შემდეგ მიმართულებებზე: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების და კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. ნიშანდობლივია, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება კვლავ პრიორიტეტულია დედაქალაქისთვის; რაც შეეხება სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობას, მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის ბიუჯეტით განსაზღვრულია სწავლის დაფინანსება. კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, დედაქალაქში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია ასევე გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტში.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლითაც იზრდება შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი 43 095,6 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის N04-03/68504 წერილი), გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები – 31 750,0 ათასი ლარით (იზრდება კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი – 65 000,0 ათასი ლარით, მცირდება სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 33 250,0 ათასი ლარით, (საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილება)), არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები – 30 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 104 845,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 559 866,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით, სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 6 500,0 ათასი ლარი.

სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) – 200,0 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება – 1 400,0 ათასი ლარი.

მცირდება:

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 20,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

მაკა ნასრაშვილმა, გიორგი შარაშიძემ, ნათია მოდებაძემ, ლევან მიქავამ.

მაკა ნასრაშვილის განმარტებით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება – გაიზარდა 1 400,0 ათასი ლარით, რომელიც ბიუჯეტის დამტკიცების პროცესშიც იყო გათვალისწინებული, თუმცა პანდემიის გამო გარკვეული ღონისძიებები ვერ ჩატარდა. ყველა ასეთი ფესტივალი სრულად ჩატარდება წელს, შესაბამისად ბიუჯეტი საჭიროებს ზრდას. ისეთი დიდი ფესტივალები, როგორიცაა პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალი, ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ, რისთვისაც ბიუჯეტურად გამოიყო ნახევარი მილიონი.

გიორგი შარაშიძის შეკითხვა შეეხებოდა ბიუჯეტის ზრდას. კომისიის წევრის განცხადებით, რომ არა ბიუჯეტის გაზრდა, ტრანსპორტის მიმართულებით თანხების გადანაწილება როგორ მოხდებოდა; ამასთან, დაინტერესდა, გაზრდილი იყო თუ არა შემოსავლები მგზავრთა გადასახადების კუთხით და რა მოცულობით. აღნიშნულზე, ლევან მიქავამ განმარტა, რომ ტრანსპორტის მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდა გათვალისწინებული იყო იმთავითვე, ხოლო სამგზავრო

გადასახადიდან შემოსულ შემოსავლებს რაც შეეხება, შეინიშნება ზრდა და ზამთრისთვის შემოსავლის 12 მილიონამდე მიღწევა არის ნავარაუდევი.

ნათია მოდებაძე დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა ჩანაწერი „მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“, რაზეც ლევან მიქავამ განმარტა რომ, მეტროს ვაგონების შესაძენად აღებულ იქნა სესხი EBRD-სგან, რომლის გადასახადების გადახდა ხდება ბიუჯეტიდან, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ სესხების სრულად ათვისება ვერ მოხდა წელს, დღგ-ს გადახდაც არ დამდგარა დღის წესრიგში. დღგ-ს, როგორც ტრანსფერს, იხდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელთანაც შეთანხმებით ცენტრალური ბიუჯეტი შემცირდა, შესაბამისად, შემცირდა თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიც.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	6
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (ნინო კვიტაიშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა